სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	ზუგდიდის „ზუგდიდი“ - კიკეთის „იუნკერები“		
გუნდი	კიკეთის „იუნკერები“	შეჯიბრი	ჭაბუკთა „ბ“ ლიგა
მატჩის თარიღი	04/07/2024	მატჩის ადგილი	ზუგდიდი
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი		დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	კიკეთის „იუნკერები“		
☐მატჩის ოფიციალური პირი ☒პიროვნება	მატჩის მეთვალყურე - ზურაბ ზვიადაძე	დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - დანართი #3: ფიქსირებული სანქციები, 1. სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მიერ წინასწარ დანიშნულ მატჩში მონაწილე, რომელიმე და/ან ორივე, გუნდის თამაშზე არ გამოცხადება საპატიო მიზეზ(ებ)ის გარეშე და/ან სრკ-ს საშეჯიბრო დებულების 7.1 (მატჩზე 12-ზე ნაკლები მოთამაშით გამოცხადება) პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევა.	☐ წითელი ბარათი ☐ საითინგი ☒ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ : **მატჩის მეთვალყურის, ზურაბ ზვიადაძის მატჩის ოქმი;**	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	10/07/2024	**განხილვის ადგილი**	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე, აკაკი კერესელიძე, ლევან ჩიკვაიძე		
დამრღვევის დასწრება	☐ **კი** ☐ **არა**	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მეთვალყურის, ზურაბ ზვიადაძის მატჩის ოქმი;		

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მეთვალყურის, ზურაბ ზვიადაძის მატჩის ოქმი;
2. კიკეთის „იუნკერები“-ს წერილი სადისციპლინო სამსახურს (ელ. ფოსტა);

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

მოგესალმებით
ამაწლის 4 ივლისს ხუთშაბათს, იუნკერების "ბ" ლიგის გუნდმა სამწუხაროდ ვერ მოახერხა გამოცხადებულიყო ქალაქ ზუგდიდში გასამართ სანუგეშო პლეი ოფის ჩასატარებლად.
ვერ გამოცხადების მიზეზი გახლავთ მოთამაშეთა არასაკმარისი რაოდენობა და ფინანსური მდგომაროება.
პატივისცემით
რაგბის კლუბი იუნკერები

ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა

1. 04/07/2024 სრკ-ს საშეჯიბრო სამსახურის მიერ დანიშნული იყო ჭაბუკთა „ბ“ პლეიოფის მატჩი ზუგდიდიდ „ზუგდიდი“-სა და კიკეთის „იუნკერებს“ შორის.
2. მატჩის მეთვალყურის, ზურაბ ზვიადაძის მატჩის ოქმის მიხედვით - მატჩი არ შედგა კიკეთის „იუნკერები“-ს არ გამოცხადების გამო.
3. კიკეთის „იუნკერები“-ს მხარემ ვერ წარმოადგინა თამაშზე არ გამოცხადების საპატიო მიზეზ(ებ)ი.

მსჯელობა

სადისცპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი მტკიცებულებების განხილვის შემდეგ დადგენილად ცნო კიკეთის „იუნკერები“-ს მიერ სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - დანართი #3-ს ფიქსირებული სანქციები: 1-ლი პუნქტის დარღვევა და მიიღო

გადაწყვეტილება

1. კიკეთის „იუნკერებს“ ჩაეთვალოს წაგება, დააკლდეს 3(სამი) საცხრილო ქულა ჭაბუკთა „ბ“ ლიგის საშეჯიბრო ცხრილში და დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით.
2. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7(შვიდი) კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში კიკეთის „იუნკერებს“ ჭაბუკთა „ბ“ ლიგის საშეჯიბრო ცხრილში დამატებით დააკლდება 2(ორი) საცხრილო ქულა.
3. კიკეთის „იუნკერები“ 2024-2025 წლის სათამაშო სეზონს ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დაიწყებს დაკლებული ქულების შესაბამისი უარყოფითი საცხრილო ქულათა ბალანსით.
4. ზუგდიდის „ზუგდიდს“ ჩაეთვალოს მოგება და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0 მის სასარგებლოდ.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	10/07/2024

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.**